განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## არქეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
## შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი - 10.10.2017

დასკვნის წარდგენის თარიღი - 25.12.2017

თბილისი
*2017*

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს საქართველოს უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205037137 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | არქეოლოგია |
| განათლების საფეხური | მეშვიდე (მაგისტრატურა) |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | არქეოლოგიის მაგისტრი (MA in Archaeology) – 1001 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნოდარ ბახტაძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ემზარ კახიძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი ქურდიანი, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. დოქტორანტი. საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს საქართველოს უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ამ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისთვის ახალია და მისი დანერგვა, აკრედიტაციის გავლის შემდეგ იგეგმება. თუმცა, ამ უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ფარგლებში, რამდენიმე წელია მიმდინარეობს არქეოლოგიის პროგრამაზე სწავლება ბაკალავრიატის საფეხურზე. შესაბამისად, ამ დაწესებულების ადმინისტრაციას და აქ მომუშავე, კვალიფიკაციის ამ დარგის განმახორციელებელ პერსონალს, მსგავსი პროგრამების შედგენისა და განხორციელების კარგი გამოცდილება ჰქონდათ. გარდა ამისა, პროგრამის შედგენისას გათვალისწინებულია ჩვენი ქვეყნის და საზღვარგარეთის ზოგიერთ სხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში მსგავსი სამაგისტრო პროგრამების განხორციელების გამოცდილებაც.

პროგრამა მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური, არქეოლოგიური კვლევის თანამედროვე სტანდარტების მცოდნე, არქეოლოგიური ექსპედიციის ორგანიზებისა და განხორციელებისთვის აუცილებელი კომპეტენციისა და პრაქტიკული უნარების მქონე პროფესიონალის ჩამოყალიბებას. დასახული მიზნის მიღწევას ემსახურება სამაგისტრო სწავლების დონისათვის შესაბამისი კვლევითი და პრაქტიკული უნარების ფორმირება, რაც უზრუნველყოფილია პროგრამის თანამედროვე, დროის მოთხოვნებზე ორიენტირებული თეორიული და პრაქტიკული კურსების სინთეზით. პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებული კომპეტენციები კურსდამთავრებულს აძლევს დასაქმების შესაძლებლობას სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში, არქეოლოგიურ ექსპედიციებში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში, მუზეუმებსა თუ კულტურული მემკვიდრეობის პრობლემებზე მომუშავე სხვა საჯარო და/ან კერძო სტრუქტურებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში. არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს არქეოლოგიური კვლევის თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სწავლებას და კონკურენტუნარიანი პროფესიონალის მომზადებას დარგის ფართო და საფუძვლიანი ცოდნით, რომელთაც შეეძლებათ კვლევის თანამედროვე პრინციპებზე დაყრდნობით, ქვეყნის მდიდარი არქეოლოგიური მემკვიდრეობის შესწავლის, შენარჩუნებისა და წარმოჩენის სფეროში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ.

შესაფასებელი პროგრამის მიხედვით სწავლის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს მიენიჭება არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. პროგრამის მოცულობა, 120 ECTS

კრედიტი შემდეგნაირად ნაწილდება: სტუდენტის წლიური დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი); აქედან სასწავლო კომპონენტს ეთმობა 90 ECTS კრედიტი, საიდანაც 60 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო კურსებია, 30 კრედიტი კი არჩევითი კურსები. დარჩენილი 30 ECTS კრედიტი სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისთვისაა გამოყოფილი.

პროგრამის კურიკულუმით, გარდა ამ დარგის სასწავლო პროგრამებისთვის ტრადიციული, აპრობირებული კურსებისა, გათვალისწინებულია არქეოლოგის პროფესიისათვის ისეთი მნიშვნელოვანი მომიჯნავე დისციპლინების სწავლება, როგორიცაა პალინოლოგია, ბიოლოგიური ანთროპოლოგია, გეოფიზიკური მეთოდები არქეოლოგიაში, არქეოლოგიური კოლექციების ინტერპრეტაცია მუზეუმებში, პროექტის მენეჯმენტი, არქეოლოგიური პროექტის მართვა. ეს კურსები, დღესდღეობით, საქართველოს სხვა დაწესებულებების ანალოგიურ პროგრამებში ამდენად ვრცლად არ არის წარმოდგენილი და, შესაბამისად, ამ პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ, არქეოლოგიის მაგისტრს, დასაქმების ბაზარზე შრომითი მოწყობის რამდენადმე უპირტესი შანსი ექნება.

## აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2017 წლის 10 ოქტომბერს. ვიზიტამდე, წინა დღეს, 9 ოქტომბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (ნოდარ ბახტაძე, ემზარ კახიძე და გიორგი ქურდიანი) 12 საათზე და 18 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით. განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეს, ინტერვიუს პროცესში, პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

10 ოქტომბერს, შპს საქართველოს უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში, 9 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა შედგა ადმინისტრაციასთან (რექტორი, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი). შემდეგ შედგა ინტერვიუები სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ვინაიდან შესაფასებელ პროგრამაზე ჯერჯერობით სწავლა არ მიმდინარეობს, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა უნივერსიტეტის ამავე დარგის ბაკალავრიატის საფეხურისა და მონათესავე დარგის პროგრამის, ისტორიის პროგრამის

მაგისტრატურის სტუდენტებს. ასევე, ვიზიტი ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

გასაუბრების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესაძლებელი გახდა ახალი პროგრამის ადეკვატური და ობიექტური შეფასება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შესაფასებელ არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში ფორმულირებული მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას. პროგრამაში კარგადაა ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები და სწავლის მეთოდები.

სასწავლო კურსების დიდი უმრავლესობის შინაარსი, სწავლების მეთოდები და მოცულობა, შედგენილია სწავლის შედეგების მისაღწევადობის გათვალისწინებით. კურსებში წარმოდგენილი სწავლების მეთოდები და კრედიტების რაოდენობა სასწავლო კურსების შინაარსის შესატყვისია და ძირითადად უზრუნველყოფს სწავლის შედეგზე გასვლას, თუმცა, რამდენადმე ხელოვნურად გვეჩვენა ის გარემოება, რომ თითოეული კურსი, ზუსტად თანაბარი რაოდენობის კრედიტებით ფასდება. ცოდნის შესაფასებლად გამოყენებული კრიტერიუმები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას, როგორც მიღწეული შედეგების, ასევე ნაკლოვანებებისა და მათი გაუმჯობესების გზების შესახებ.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას განათლების შემდგომ საფეხურზე და დასაქმების ბაზარზე.

პროგრამის მიხედვით, სტუდენტები მიიღებენ აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად. დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია სასწავლო

პროცესის, პროგრამების და აქტივობების შესახებ. დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა. სურვილის შემთხვევაში, თითოეულ სტუდენტს ექნება შესაძლებლობა, წინასწარი შეთანხმებით, შეხვდეს აკადემიურ პერსონალს და გაიაროს კონსულტაცია. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში. სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ კონფერენციებში და ასევე, სხვადასხვა კვლევით პროექტში. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკას სპეციალობაში. პროგრამა ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე.

შპს აქართველოს უნივერსიტეტს ზოგადად და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლას, გააჩნია ამ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა.

- **რეკომენდაციები**

პროგრამის სპეციალობის განმსაზღვრელ მოდულს, სასურველია დაემატოს ერთი სასწავლო კურსი, სავარაუდო სახელწოდებით: „შუა საუკუნეების არქეოლოგია“. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროგრამის დასრულების შემდეგს, კურსდამთავრებულებს, ადამიანთა საზოგადოებების პრეისტორიულ და სხვა ისტორიულ ეპოქებთან შედარებით, ნაკლები კომპეტენციები ექნებათ ამ ეპოქის არქეოლოგიური ძეგლების კვლევის მეთოდოლოგიური თავისებურებების შესახებ. სასურველია, ამ კურსის ფარგლებში, განსაკუთრებით დეტალურად იყოს წარმოდგენილი საკითხები შუა საუკუნეების ქალაქებისა და სოფლის ტიპის დასახლებების, საფორტიფიკაციო სისტემებისა და სამაროვნების არქეოლოგიური კვლევების მართებულად წარმართვის პრინციპები, ვინაიდან, ქრისტიანული სამყაროს საკულტო დანიშნულების ძეგლების კვლევის წარმოების ჩვევებს, წარმატებით შეავსებს ამავე კურიკულუმის შემადგენელი სხვა კურსი - „ქრისტიანული არქეოლოგია“.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. მომიჯნავე მიმართულების საგნების სილაბუსების შედგენისას, განსაკუთრებით სწავლების მიზნებისა და შედეგების კომპონენტის ჩამოყალიბებაში, სასურველია იგრძნობოდეს კურსების კოორდინატორების მეტი ჩართულობა (მით უმეტეს, რომ პროგრამაში, თითოეულ კურსისისთვის გათვალისწინებულია განსაკუთრებული გამოცდილების მქონე კოორდინატორი),

2. სასურველია, რომ პროგრამის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში მეტად იყვნენ ჩართულნი აკადემიური პერსონალი და მოწვეული პერსონალი, აგრეთვე სტუდენტებიც.
3. საგნის „გეოფიზიკური მეთოდები არქეოლოგიაში“ სწავლისთვის, შესაბამის აპარატურასთან ოფიციალური წვდომისთვის, უნდა გაფორმდეს შესაბამისი ოფიციალური ხელშეკრულება გეოფიზიკის ინსტიტუტთან ან რომელიმე სხვა სპეციალიზირებულ ლაბორატორიასთან.
4. ზოგიერთი თანამშრომლის პირადი საქმეები და CV განახლებას საჭიროებს, შევსებულ უნდა იქნას უახლოესი მონაცემებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

| 1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| ○ შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური, არქეოლოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიებს დაუფლებული, საველე და თეორიული არქეოლოგიური სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელი კომპეტენციისა და პრაქტიკული უნარების მქონე პროფესიონალების მომზადება. შეფასებული პროგრამა თანხვედრაშია საქართველოს უნივერსიტეტის მისიასთან, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის ცოდნის საზღვრების გაფართოვებას და განათლებული, ჰარმონიული პიროვნებების ჩამოყალიბებას, რათა ამ ახალგაზრდებმა, მომავალში თავიანთი პროფესიული საქმიანობითა და მეცნიერული მიღწევებით, თავიანთი წვლილი შეიტანონ ჰუმანურ და |

დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში.

- პროგრამაში საკმაოდ ნათლადაა წარმოდგენილი სამაგისტრო სწავლების დონისათვის შესაბამისი კვლევითი და პრაქტიკული უნარების ფორმირების პროცესი და თანმიმდევრობა, რასაც ადასტურებს მასში გათვალისწინებული, თანამედროვე სტანდარტებზე ორიენტირებული თეორიული და პრაქტიკული კურსების სინთეზით.
- პროგრამა, ძირითადი მახასიათებლებით, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე, რაზედაც თუნდაც შემდეგი გარემოება მეტყველებს: ამ პროგრამის კურუკულუმით გათვალისწინებულია მომიჯნავე და არქეოლოგისთვის მნიშვნელოვანი ისეთი დისციპლინების სწავლება, როგორიცაა პალინოლოგია, ბიოლოგიური ანთროპოლოგია, გეოფიზიკური მეთოდები არქეოლოგიაში, არქეოლოგიური კოლექციების ინტერპრეტაცია მუზეუმებში, პროექტის მენეჯმენტი, არქეოლოგიური პროექტის მართვა. ეს კურსები, დღესდღეობით საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ანალოგიურ პროგრამებში ასე გამოკვეთილად არ არის წარმოდგენილი და, შესაბამისად, კურსდამთავრებული არქეოლოგიის მაგისტრი, ამ დისციპლინების სათანადოდ ათვისების შემთხვევაში, დასაქმების ბაზარზე რამდენადმე პრიორიტეტით აღჭურვილი წარდგება. ამდენად, ამ პროგრამის მიზანები ნათლადაა ჩამოყალიბებული და მიღწევადად შეიძლება ჩაითვალოს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის მისია;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრება.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- კურიკულუმის შესწავლისას და ვიზიტის დროს, პროგრამის შეფასების პროცესში, გამოიკვეთა, რომ პროგრამა მდიდარია სპეციფიური. დარგობრივი სასწავლო კურსებით (არჩევითი მოდულებით), რაც შეიძლება საუკეთესო პრაქტიკა

ჩაითვალოს.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- შეფასებული პროგრამის სასწავლო კურსების დიდი უმრავლესობის შინაარსი, სწავლების მეთოდები და მოცულობა, შედგენილი აღმოჩნდა სწავლის შედეგების მიღწევადობის გათვალისწინებით. კურსებში წარმოდგენილი სწავლების მეთოდები და კრედიტების რაოდენობა სასწავლო კურსების შინაარსის შესატყვისია და უზრუნველყოფს სწავლის შედეგზე გასვლას.
- სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 120 ECTS კრედიტის დაგროვების შემდე (8 სემესტრის განმავლობაში), რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: სტუდენტის წლიური დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი); აქედან სასწავლო კომპონენტს ეთმობა 90 ECTS კრედიტი, საიდანაც 60 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო კურსებია, 30 კრედიტი ეთმობა არჩევით და თავისუფალ სასწავლო დისციპლინებს. დარჩენილი 30 ECTS კრედიტი სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისთვისაა გამოყოფილი.
- თითოეული კურსი 6 კრედიტიანი, სამაგისტრო ნაშრომი კი - 30 კრედიტიანია. კურიკულუმი ითვალისწინებს პრაქტიკულ არქეოლოგიურ კვლევებში (საველე ექსპედიცია) სტუდენტის აუცილებელ მონაწილეობას.
- სასწავლო კურსების განხორციელებისას გამოიყენება სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები ლექცია, სემინარები, ჯგუფური მუშაობა, ზეპირი

გამოკითხვა, პრეზენტაციები და ა.შ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო და სამაგისტრო დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- შეფასებული სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება

„ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების შესაბამისად.

- უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიმართულების, სპეციალობის და სპეციალიზაციების ჩამონათვალში არქეოლოგია არის მიმართულებათშორისი დარგი (კვალიფიკაციის კოდი 1115). კვალიფიკაციის ფორმირების წესის მიხედვით, მეორე საფეხურის საგანმათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „მაგისტრი“, შესაბამისი მიმართულების ან’და დარგის/სპეციალობის მითითებით. აღნიშნულიდან გამონდინარე, კვალიფიკაციის ფორმირება შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან.
- უნივერსიტეტის არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული ცალკეული სასწავლო კომპონენტების (სავალდებულო და არჩევითი საგნები), კვლევითი (სამაგისტრო ნაშრომი) და პრაქტიკული (საველე-არქეოლოგიური პრაქტიკა) კურსების სწავლის შედეგების ერთობლიობა, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერის სათანადო დონით.
- უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად, კვალიფიკაციათა აღწერით განსაზღვრულ სამაგისტრო დონის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს პროგრამის შემდეგი კომპონენტები: ECTS კრედიტებით განსაზღვრული პროგრამის მოცულობა; პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; პროგრამის მიზნები და მისი შედეგები (როგორც დარგობრივი ცოდნის, ისე ზოგადტრანსფერული და პრაქტიკული უნარების თვალსაზრისით); სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა; კურსდამთავრებულისთვის განსაზღვრული დასაქმების სფეროები; სასწავლო გეგმით (სტრუქტურით) გათვალისწინებული საგნები და მათი სილაბუსები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;

○ ინტერვიუები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

○ შპს საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლო და სხვა საგანამანათლებლო დაწესებულებებთან სხვადასხვა ტიპის მემორანდუმების და საგრანტო პროგრამების ფარგლებში, რითაც შესაძლებელი ხდება აკადემიური გამოცდილების გაზიარება და სტუდენტთა მობილობის უზრუნველყოფა. უნივერსიტეტს გააჩნია საქმიანი კავშირები ეროვნულ, საერთაშორისო კერძო და საჯარო ორგანიზაციებთან. ასეთი კავშირები და თანამშრომლობის ფორმები, აქამდე წარმატებით იყო აპრობირებული ამავე დარგის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში.

- შეფასებული სამაგისტრო პროგრამის შემუშავების პროცესში, სავარაუდო აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელდა დასაქმების ბაზრის კვლევა და პოტენციური დამსაქმებლის გამოკითხვა ქვეყანაში. ამის მიზანი იყო, დაედგინათ, აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულზე არსებული მოთხოვნადობის დონე საქართველოში მიმდინარე არქეოლოგიური კვლევების სპექტრის თავისებურებისა და ბოლო პერიოდში მისი შესამჩნევი გაფართოების ტენდენციის გათვალისწინებით. ბაზრის ანალიზის შედეგები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის შემუშავებისას, რაც, სავარაუდოდ, უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობას ბაზრის მოთხოვნებთან, მისი ცოდნისა და პროფესიული უნარების შესაბამისობას ამავე მოთხოვნებთან.
- სამაგისტრო პროგრამას კურსდამთავრებული ჯერჯერობით არ ჰყავს. პოტენციურ დამსაქმებელთა კვლევამ აჩვენა, რომ არსებული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების შინაარსი, თანმიმდევრობა, მოცულობა და პრაქტიკულ ჩვევებთან სინთეზი არქეოლოგიის მაგისტრს გამოუმუშავებს იმ უნარებს, რომელიც მოთხოვნადია თანამედროვე შრომის ბაზარზე და განაპირობებს მის პოტენციურ დასაქმებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სხვა უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი პროგრამები (ივანე ჯავახიშვილის საქხელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი- https://www.tsu.ge/; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი- http://sou.edu.ge/; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - https://iliauni.edu.ge/);
- ინტერვიუ დამსაქმებელთან.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერსებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- დამსაქმებლებთან ინტერვიურების პროცესში დადგინდა, რომ შეფასებული სასწავლო პროგრამის შემდგენლები აქტიურად თანამშრომლობდნენ პოტენციურ დამსაქმებელ ორგანიზაციებთან მომავალ სტუდენტთა პრაქტიკის უზრუნველყოფის და, შემდგომ, მათი დასაქმების თვალსაზრისით. მათ ხაზი გაუსვეს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების კვალიფიკაციის მაღალ დონეს უნივერსიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე. ამასთან, მიზანშეწონილად მიაჩნიათ პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება.
- პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც სკოლის დირექტორსა და პროგრამაში ჩართულ პპერსონალთან ერთად პასუხისმგებელია სილაბუსების ხარისხსა და პროგრამის შესაბამისობაზე ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან. პროგრამის ხელმძღვანელი და სკოლის დირექტორი პროგრამის განვითარების პროცესში, კოორდინირებას უწევენ პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალის ჩართულობას; პროგრამით დაინტერესებული პირები (აკადემიური პერსონალი, პოტენციური დამსაქმებლები) აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის შემუშავებაში, კერძოდ, აკადემიური პერსონალის ჩართულობა გამოიხატება გუნდური მუშაობის პრინციპში, რაც გულისხმობს იმას, რომ პროგრამა არ გამოხატავს მხოლოდ მისი ხელმძღვანელის ხედვას, არამედ მასში გათვალისწინებულია გამოცდილი აკადემიური პერსონალის მოსაზრებებიც.
- როგორც გამოირკვა, ამ სამაგისტრო პროგრამის კონცეფციის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს პროგრამის ხელმძღვანელმა და პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა, შემდეგ კი კონსულტაცია გაიარეს სკოლის დირექტორთან. შესრულებულმა სილაბუსებმა ხარისხის სამსახურის ექსპერტიზაც

გაიარეს. თითოეულ სილაბუსში რეკომენდაციების გათვალისწინებას პროგრამისა და თითოეული სილაბუსის ანალიზი მოყვა, რამაც საფუძველი შექმნა ერთიანად გააზრებულიყო პროგრამა და სილაბუსები. მომდევნო ეტაპზე, უნივერსიტეტში არსებული პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმის შესაბამისად, პროგრამა შესაბამის კითხვართან ერთად დაეგზავნა პოტენციურ დამსაქმებლებს და აკადემიურ პერსონალს (ვინაიდან პროგრამას სტუდენტი ჯერ არ ჰყავს, მათი მოსაზრებების გათვალისწინება პროგრამის შემუშავებისას ვერ მოხერხდა).

- ამ პროგრამის განვითარების სტრატეგიაში, დღევანდელი მდგომარეობით იქმნება შთაბეჭდილება, რომ ასეთ კონცეფციაზე ძირითადად პროგრამის ხელმძღვანელი მუშაობს, აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის ჩართულობა კი სიმბოლურია. დამტკიცების შემთხვევაში, პროგრამის განვითარების პროცესში, უკვე შემუშავებული მექანიზმის თანახმად, უფრო აქტირად ჩაებმებიან დაინტერესებული მხარეები (პოტენციური დამსაქმებლები, აკადემური პერსონალი, სტუდენტები) რომელთა მეშვეობითაც, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ეტაპზე, დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით, შესაძლებელი გახდება ამ საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

სასურველია, რომ პროგრამის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში მეტად იყვნენ ჩართულნი აკადემიური პერსონალი და მოწვეული პერსონალი, აგრეთვე სტუდენტებიც.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

| |
|---|
| |
| შეფასება<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | |

2. **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

| 2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ წარმოდგენილ პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. კერძოდ, პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ხარისხის ან კანონმდებლობით მასთან გათანაბრებული დიპლომის მფლობელი პირი, რომელიც ჩაირიცხება ამ სამაგისტრო საგანმანათლებლო |

პროგრამაზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებით - საერთო სამაგისტრო გამოცდის (გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა), შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის (ინგლისური ენა) და სპეციალობაში ზეპირი გასაუბრების შემდეგ.

- პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან (www.ug.edu.ge), აგრეთვე პროგრამის ხელმძღვანელთან პირადი კონსულტაციების საფუძველზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის ხელმძღვანელთან; აკადემიურ პერსონალთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- სწავლის შედეგების მისაღწევად, არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ლექციების, დისკუსიების, საველე-არქეოლოგიური პრაქტიკის, ყოველკვირეული შეფასების, შუალედური და ფინალური შეფასებების, პრეზენტაციების, რეფერატების მომზადების, სამაგისტრო ნაშრომების მომზადება/დაცვის ფორმატში გამოიყენებს პროგრამის სპეციფიკისთვის რელევანტურ მეთოდებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს სწავლის სასურველი შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- შეფასებულ სასწავლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების კომპონენტები თანამიმდევრულია, ლოგიკურია შემდგომ კომპონენტზე დაშვება. სასწავლო კურსებს ძირითადად არ გააჩნიათ წინაპირობები და თანმიმდევრულობა განსაზღვრულია სემესტრული განაწილების გზით. სასწავლო კურსები განაწილებულია მასალის თანდათანობითი გართულების პრინციპით.

- სამაგისტრო პროგრამის ძირითადი (სპეციალობის განმსაზღვრელი) და სპეციალური მოდულის (სპეციალიზაციის განმსაზღვრელი) საგნები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია, უზრუნველყოფს სილაბუსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და ერთობლიობაში განაპირობებს სამაგისტრო პროგრამის მიერ დასახული სწავლის საერთო შედეგების მიღწევას. თუმცა, შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ პროგრამის სპეციალობის განმსაზღვრელი მუდული ერთი სასწავლო კურსის დამატებას საჭიროებს, სავარაუდო სახელწოდებით: „შუა საუკუნეების არქეოლოგია".
- პროგრამის როგორც ძირითადი, ისე სპეციალური მოდულის საგნების ყოველ სილაბუსს, გარდა ავტორისა, ჰყავს კურატორიც. თუმცა, ზოგიერთი მოწვეული ლექტორის სილაბუსში არ ჩანს კურატორთან კონსულტაციების და ერთობლივი მუშაობის კვალი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ინტერვიუები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები.

**რეკომენდაციები:**

პროგრამის სპეციალობის განმსაზღვრელ მოდულს, უნდა დაემატოს ერთი სასწავლო კურსი, სავარაუდო სახელწოდებით: „შუა საუკუნეების არქეოლოგია". წინააღმდეგ შემთხვევაში, პროგრამის დასრულების შემდეგს, კურსდამთავრებულებს, ადამიანთა საზოგადოებების პრეისტორიულ და სხვა ისტორიულ ეპოქებთან შედარებით, ნაკლები კომპეტენციები ექნებათ ამ ეპოქის არქეოლოგიური ძეგლების კვლევის მეთოდოლოგიური თავისებურებების შესახებ. სასურველია, ამ კურსის ფარგლებში, განსაკუთრებით დეტალურად იყოს წარმოდგენილი საკითხები შუა საუკუნეების ქალაქებისა და სოფლის ტიპის დასახლებების, საფორტიფიკაციო სისტემებისა და სამაროვნების არქეოლოგიური კვლევების მართებულად წარმართვის პრინციპები, ვინაიდან, ქრისტიანული სამყაროს საკულტო დანიშნულების ძეგლების კვლევის წარმოების ჩვევებს, წარმატებით შეავსებს ამავე კურიკულუმის შემადგენელი სხვა კურსი - „ქრისტიანული არქეოლოგია".

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- ზოგიერთი მოწვეული ლექტორის სილაბუსში არ ჩანს საგნის კურატორთან კონსულტაციების და ერთობლივი მუშაობის კვალი. მომიჯნავე მიმართულების საგნების სილაბუსების შედგენისას, განსაკუთრებით სწავლების მიზნებისა და შედეგების კომპონენტის ჩამოყალიბებაში, სასურველია კოორდინატორის მეტი ჩართულობა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება:**

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- შეფასებულ პროგრამასა და სასწავლო კურსების სილაბუსებში აღწერილია სწავლის შედეგები შეფასების სისტემა. სტუდენტთა შეფასების სისტემაში საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით ზუსტადაა განსაზღვრული შეფასების მეთოდები. ეს მეთოდები ითვალისწინებს სასწავლო კურსების სპეციფიკას.
- სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 და საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულების შესაბამისად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ინტერვიუები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან;

  საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები.

| |
|---|
| |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ შეფასებული პროგრამის ყოველი ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსში განსაზღვრულია შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები. სილაბუსები ატვირთულია უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზაში და, შესაბამისად, ღია, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია სტუდენტისთვის, რომელიც სარგებლობს აღნიშნული ბაზით.<br>○ შეფასების კომპონენტების და კრიტერიუმების დადგენა ხდება შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორის, პროგრამის /დეპარტამენტის ხელმძღვანელის და სკოლის დირექტორის ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე.<br>○ გარდა ამისა, შეფასების პროცედურის გამჭვირვალობისა და მაქსიმალური ობიექტურობის დაცვის მიზნით დასკვნითი გამოცდები წარიმართება ერთიანად, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის ორგანიზებით, ვიდეომეთვალყურეობით, ხოლო საგამოცდო ნაშრომების გასწორება მოხდება |

| |
|---|
| ანონიმურად. შედეგების გასაჩივრება შესაძლებელი იქნება მათი გამოცხადებიდან (სტუდენტის პირად ვებგვერდზე განთავსებიდან) დადგენილ ვადებში და დადგენილი ფორმით, რომელიც ცნობილი იქნება სტუდენტისთვის, უნივერსიტეტის ელქტრონული ბაზის გამოყენებით. შეფასებისას, ყურადღება მიექცევა არა მხოლოდ დამტკიცებული კრიტერიუმების დაცვას, არამედ ცალკეული კომპონენტისთვის განკუთვნილ ფანჯარაში კომენტარის გაკეთებას, თუ კონკრეტულად რაში მდგომარეობს დაშვებული შეცდომის არსი და რა უნდა გაეკეთებინა სტუდენტს უკეთესი შეფასების მისაღებად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულებები;<br>საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის | √ | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | |

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

| |
|---|
| 3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| ○ აღსანიშნავია რომ შეფასებული პროგრამა ახალია და ამ პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს არ ყავს და ვერ ეყოლება კურსდამთავრებულები ან სტუდენტები. არქეოლოგიაში შესაფასებელი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტების მიღწევების და მათთან ინდივიდუალური მუშაობის შეფასების ობიექტურობისათვის, ექსპერტთა ჯგუფი, შეხვდა საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის ფაკულტეტის, ბაკალავრიატის სტუდენტებს. აგრეთვე გაესაუბრა ამავე უნივერსიტეტის პარალელური პროგრამის ისტორიის ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტებს. გასაუბრების შედეგად ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესაძლებელი გახდა ფაკულტეტის ახალი პროგრამის ადეკვატური და ობიექტური შეფასება.<br>○ გასაუბრებების შედეგად მტკიცდება, რომ ყოველი სტუდენტი არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამიდან, ზედაპირულად იყო გათვითცნობიერებული ახალ სამაგისტრო პროგრამაში. ისინი ადასტურებენ აკადემიური პერსონალის მიერ მათი აზრით დაინტერესებას. სტუდენტების უმრავლესობა ნაწილობრივ გათვიცნობიერებულია უნივერსიტეტის მიერ ახალი სამაგისტრო პროგრამის ჩამოყალიბებაში. მათ ჰქონდათ საშუალება ზეპირსიტყვიერად აკადემიური პერსონალისგან მიეღო საჭირო ინფორმაცია ამ ახალი პროგრამის შესახებ და გამოეთქვა თავისი აზრი.<br>○ თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას სტუდენტები იღებენ „ჩემი UG“-ს, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების და IT სამსახურებისგან. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად მტკიცდება ყოველი ზემოთაღნიშნული, და გამოხატავენ კმაყოფილებას „ჩემი UG“-ს სისტემის მუშაობით. ხაზს უსვავენ ამ პორტალის მნიშვნელობას, რომლის მეშვეობითაც გამარტივებულია წვდომა სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინფორმაციასთან. აქვთ უკუკავშირი ყოველ |

საგამოცდო, თუ შუალედურ ნაშრომზე. აგრეთვე საშუალება აქვთ „ჩემი UG“-ს მეშვეობით ანონიმურად პროფესორების ან კონკრეტული ლექციების შეფასების. ყოველი ეს ხელს უწყობს უნივერსიტეტში სწავლების გაუმჯობესებას.

○

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუები სტუდენტებთან.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, აკადემიური პერსონალის სამუშაო გრაფიკი გულისხმობს სტუდენტებთან ინდივიდუალურ მუშაობას. საკონსულტაციო დღეები და საათები ყოველი სემესტრის დასაწყისში დგინდება. გრაფიკი გამოკრულია შესაბამისი მიმართულების საპროფესორო ოთახების კარებზე, ან განთავსებულია სისტემაში „ჩემი UG“. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საკონსულტაციო საათების გრაფიკი თვალსაჩინოდაა გამოკრული თითოეულ დეპარტამენტთან, ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებმა არ იცოდნენ ამის შესახებ; ყოველი ეს მტკიცდება ადგილზე ვიზიტის დროს დათვალიერებისას და

სტუდენტებთან თუ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებით.

- თუმცა, სტუდენტების ინფორმაციით, პროგრამაში არსებული დაგეგმილი საკონსულტციო საათების გარდა, ყოველი საგნის პროფესორთან შესაძლებელია ინდივიდუალურად საკონსულტაციო საათებზე წინასწარ შეთანხმება, ან ინდივიდუალურად მათთან მუშაობა.
- აღსანიშნავია, რომ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას, სამაგისტრო პროგრამაზე არქეოლოგიაში, წინასწარი კვლევის საფუძველზე, უნივერსიტეტი ვარაუდობს არაუმეტეს 10 სტუდენტის მიღებას. პროგრამის მაშტაბი არაა ძალიან დიდი და დამსაქმებლების და აკადემიური პერსონალის თქმით ადეკვატურად მორგებულია მოთხოვნაზე ამ საგნის მიმართ. სტუდენტების აზრით, არქეოლოგიაში სამაგისტრო პროგრამის სიმცირე მხოლოდ პროგრამის სიძლიერეზე მიუთითებს, და საშუალებას მისცემს უფრო მარტივად დაიგეგმოს ინდივიდუალური სამუშაო და საკონსულტაციო საათები. საველე გასვლების დროს სტუდენტებისთვის უფრო მარტივი იქნება ინდივიდუალური მუშაობა ხელმძღვანელებთან, რაც ხელს უწყობს მათ დაახლოებას აკადემიურ პერსონალთან და პერსონალ-სტუდენტს შორის ინფორმაციის გაცვლას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- თვითშეფასების ანგარიშიდან გამომდინარე და სტუდენტებთან გასაუბრებით მტკიცდება რომ უნივერსიტეტი მრავალ მხრივ ხელს უწყობს მათ ჩართულობას კვლევითი პროექტების განხორციელებაში. უნივერსიტეტს გააჩნია საუნივერსიტეტო არქეოლოგიური მუზეუმი. საკუთარი არქეოლოგიური ბაზა. საჭირო სამუშაო გარემო და ლაბორატორია. სტუდენტების თქმით უნივერსიტეტში არის სხვადასხვა კლუბები, რომლისთვის არის გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი. მათი თქმით ეს, კურიკულუმისგან დამოუკიდებელ ინიციატივებში მონაწილეობა, ხელს უწყობს მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუები სტუდენტებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ მატერიალური ბაზის ადგილზე დათვალიერება.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება:**

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- ინტერნაციონალიზაცია არამარტო უნივერსიტეტის პოლიტიკის ნაწილია, არამედ არქეოლოგიაში, კონკრეტული სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. სტუდენტებმა საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიის მონათესავე დარგის პროგრამებიდან დაადასტურეს დაწესებულების ხელშეწყობა და სტუდენტების გვერდში დგომა. რაც გამოიხატება უნივერსიტეტში უცხო ენოვანი სტუდენტების სიმრავლით, უნივერსიტეტის შესაძლებლობით მოიწვიოს უცხოენოვანი პროფესორები, აკადემიური პერსონალის სურვილი დაამყაროს ახალი კავშირები უცხოელ პოტენციურ დამსაქმებლებთან, და ზოგადად ხელი შეუწყონ სტუდენტებს საერთაშორისო დონის განათლების მიღებაში.

- ხშირია კონფერენციები როგორც ქართულ ისევე ინგლისურ ენაზე. სემინარის წარმართვის ენა (ინგლისური ან ქართული) დამოკიდებულია მოწვეულ პროფესორზე. ინგლისური ენის ადეკვატური ცოდნა სტუდენტებში წარმოადგენს პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას, (მინიმუმ B2 დონე) და არ უშლის ამ პროგრამის ფარგლებში ინლისურ სემინარებზე სტუდენტების აქტიურ ჩართულობას. რაც დასაფასებელია კონკრეტული პროგრამის შემთხვევაში რადგან პროგრამა არის ქართულენოვანი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუები სტუდენტებთან;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):**

**შეფასება**

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლას გააჩნია ამ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა.
- სკოლის შემადგენლობაშია ენის სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიითა და პროგრამებით აღჭურვილი ლაბორატორია, რომელიც გამოიყენება ენობრივი კომპეტენციის სრულყოფისა და დამატებითი აქტივობებისთვის. პროგრამის განხორციელებისათვის უნივერსიტეტს გააჩნია საჭირო ტექნიკური და მატერიალური რესურსი. მათ შორის აღსანიშნავია კეთილმოწყობილი სასწავლო აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია უახლესი ინფორმაციული ტექნიკითა და ტექნოლოგიებით (პროექტორები, კომპიუტერები, უკაბელო ინტერნეტი), საკუთარი არქეოლოგიური ბაზა და მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია სამშვილდეში.
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოიპოვება უახლესი სახელმძღვანელოები და წიგნები, რაც უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალებას აძლევს, შეუფერხებლად საჭირო ლიტერატურა და იმუშაონ მათი პროფესიული განვითარებისთვის საჭირო მიმართულებით. ასევე სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ უნივერსიტეტში არსებული ისეთი ელექტრონული რესურსებით, როგორიცაა Cambridge Journals, EBSCO, JSTOR.
- სასწავლო რესურსები ადეკვატურია და სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის უზრუნველყოფილია მათი ხელმისაწვდომობა და საჭიროების შემთხვევაში გამოყენების შესახებ კონსულტაცია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მატერიალური ბაზის დათვალიერება ადგილზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ.
- ინტერვიუ ინსტიტუტის დირექტორთან.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- სპროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, განათლება და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. მის განხორციელებაში ჩართული არის შესაბამის სექტორში გამოცდილი კადრი. აკადემიური და მოწვეული პერსონალი სიღრმისეულად ფლობენ დარგის თეორიას, პრაქტიკას, მეთოდებსა და პროფესიულ უნარებს. მათი გამოცდილება მუდმივად განახლებადია საერთაშორისო გამოცდილების მქონე სპეციალისტთა მიერ წარმართული ტრეინინგების მეშვეობით. აკადემიური პერსონალის შესაბამის კვალიფიკაციას აგრეთვე ადასტურებს მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში

გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, ხოლო მოწვეული პერსონალის კომპეტენციას კი, მატი პრაქტიკული გამოცდილება და სამეცნიერო პუბლიკაციების საკმარისი რაოდენობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პერსონალის პირადი საქმეები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება:**

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა უზრუნველყოფილია იმ ფაქტორით, რომ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურში, ბიბლიოთეკაში, სკოლაში (პროგრამის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურში, სტუდენტურ საქმეთა ცენტრში და სასწავლო ლაბორატორიებში მუშაობენ შესაბამისი კვალიფიკაციების მქონე თანამშრომლები.
- ამასთანავე, რამდენადმე გააქტიურებას საჭიროებს ადმინისტრაციის იმ წარმომადგენლების მუშაობა, რომელთაც აკადემიური პერსონალის და მოწვეული პროფესორების პირადი საქმეების მოწესრიგება ევალებათ. მაგალითად, შეფასების

პროცესში გამოირკვა, რომ ზოგიერთი თანამშრომლის პირად საქმეებში და CV-ში, სათანადოდ არ არის ასახული უახლოესი მონაცემები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პერსონალის პირადი საქმეები.
- ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრება.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის :**

- ზოგიერთი თანამშრომლის პირადი საქმეები და CV განახლებულ უნდა იქნას, შევსებული უნდა იქნას უახლოესი მონაცემებით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):**

**შეფასება:**

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- სასწავლო მასალა დაფუძნებულია უახლესი სამეცნიერო კვლევებსა და მიღწევებზე. მასალა ხელმისაწვდომია საქართველოს უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისა და პროფესორ- მასწავლებლისთვის და განთავსებულია ბიბლიოთეკაში. სტუდენტები დამატებითი ლიტერატურის სახით ასევე იღებენ ინფორმაციას Cambridge Journals, EBSCO, Jstor ელექტრონული რესურსების

საშუალებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე დათვალიერება.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):**

**შეფასება:**

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამის ბიუჯეტირება საწყის ეტაპზე პროგრამის ხელმძღვანელმა დაიწყო. თავდაპირველად დაიგეგმა პროგრამა, მომზადდა სილაბუსები, რასაც მოჰყვა ბიუჯეტირების პროცესი. საჭირო ინფრასტრუქტურის, სასწავლო მასალებისა და ლექტორების ანაზღაურების გათვალისწინებით შექმნილი ბიუჯეტის პირველადი ვერსიის შემუშავებას მოჰყვა მისი სკოლის დირექტორთან განხილვა- შეთანხმება. ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი უნივერსიტეტის ფინანსურ მენეჯერთან და ადმინისტრაციასთან შეთანხმდა. უნივერსიტეტს აქვს სათანადო ფინანსური რესურსი აღნიშნული პროგრამა განახორციელოს და უზრუნველყოს

სწავლის შედეგების მიღწევა.

- ფინანსური გეგმა სამაგისტრო პროგრამის სრულ სასწავლო ციკლზეა გათვლილი და ნათლად წარმოაჩენს რამდენად არსებობს და სტაბილურია პროგრამის რეალიზების აუცილებელი ფინანსური წინაპირობა. პროგრამის შემოსავლიდან 80% ხმარდება უშუალოდ პროგრამულ უზრუნველყოფას (აკადემიური პერსონალის ანაზღაურება და სხვა) ხოლო შემოსავლების 20% გადასახადების, სამეურნეო და საოფისე ხარჯების დაფარვას.
- ზოგიერთი ინტერდისციპლინარული საგნის სწავლებისთვის პროგრამის მიხედვით ხდება იმ ტექნიკური რესურსების გამოყენება, რომელიც სხვა ინსტიტუციების კუთვნილებაა. მართალია, ამ საგნის ლექტორები, მოწვეული სპეციალისტები ამ ტექნიკასთან წვდომას პირადი, მჭიდრო პროფესიული კავშირებით უზრუნველყოფენ, მაგრამ ასეთი საპარტნიორო ურთიერთობები აუცილებლად უნდა გამყარდეს ოფიციალური მემორანდუმებითა და ხელშეკრულებებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ მოწვეულ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- საგნის „გეოფიზიკური მეთოდები არქეოლოგიაში“ სწავლისთვის, შესაბამის აპარატურასთან ოფიციალური წვდომისთვის, უნდა გაფორმდეს შესაბამისი ოფიციალური ხელშეკრულება გეოფიზიკის ინსტიტუტთან ან რომელიმე სხვა სპეციალიზირებულ ლაბორატორიასთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

| 5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |

- უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება, ხოლო ამ სტრატეგიული მიზნის ქვაკუთხედს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და მართვაში სტუდენტებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობა წარმოადგენს.
- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელის მუშაობაც განსაზღვრულია სამსახურის დებულებით. ამასთან, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში შექმნილია და ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური.
- უნივერსიტეტში შემუშავებულია ამ საგანმანათლებლო პროგრამის და სილაბუსების შეფასების წესი. ამასთან, შემუშავებულია კითხვარები სტუდენტთა, პერსონალის და დამსაქმებლების გამოკითხვისათვის, რომლის შედეგებიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. გამოკითხვები ჩატარდება ყოველსემესტრულად, გამოკითხვის შედეგები დაგროვდება და დამუშავდება სტატისტიკურად. კვლევის შედეგები აისახება პროგრამის განვითარებაზე.

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ინტერვიუები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;<br>○ ინტერვიუები ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებთან. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):** |
| **შეფასება:**<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების შიდა შეფასება ხდება შემუშავებული ფორმებისა და კრიტერიუმების საშუალებით. პროგრამებს, ასევე, აფასებენ სტუდენტები სპეციალური კითხვარების შევსებისას. საგანმანათლებლო პროგრამების შიდა და გარე შეფასების შედეგად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br><br>○ ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან და ადმინისტრაციასთან. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |

| |
|---|
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): |
| შეფასება:<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | √ | | |

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: არქეოლოგია, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | √ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | √ | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | √ | | |
| საბოლოო შეფასება | √ | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: არქეოლოგია, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| ტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| . საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის ესაბამისობა | √ | | |
| . სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, როგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | √ | | |
| . სტუდენტთა მიღწევები, მათთან ნდივიდუალური მუშაობა | √ | | |
| . სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | |
| . სწავლების ხარისხის განვითარების ესაძლებლობები | √ | | |
| აბოლოო შეფასება | √ | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: